საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №21/23

2026 წლის 23 აპრილი ქ. თბილისი

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში „კომისია“) 2026 წლის 23 აპრილის საჯარო სხდომაზე განიხილა საკითხი „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ნორმატიული ადმინისტრაციულ–სამართლებრივი აქტის გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სს „ეპ ჯორჯია მიწოდებამ“ 2026 წლის 31 მარტის №90003564 და 2026 წლის 1 აპრილის №90003571 წერილებით (კომისიაში რეგისტრაციის №4350/01 31.03.2026 და №4404/01 01.04.2026) კომისიაში წარმოადგინა სატარიფო განაცხადი და მოითხოვა ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების დადგენა. კომისიის შესაბამისი დეპარტამენტების მიერ შესწავლილ იქნა სს „ეპ ჯორჯია მიწოდების“ მიერ წარმოდგენილი სატარიფო განაცხადი და დადგინდა, რომ იგი აკმაყოფილებს კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-13 მუხლით გათვალისწინებულს მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9, 23-ე, 29-ე და 168-ე მუხლების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე, 106^1, 106^2, 106^5, 177–ე მუხლების და კომისიის 2020 წლის 15 დეკემბრის №68 დადგენილების პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერგიის საჯარო მომსახურების სახით მიწოდების ტარიფების გაანგარიშების მეთოდოლოგიის“ მე-13- მე-15 მუხლების საფუძველზე, კომისიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად.
2. „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 30 ივნისი.
3. „ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2026 წლის 22 მაისი.
4. კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის კომისიის ვებგვერდზე განთავსება.
5. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ტარიფებისა და ეკონომიკური ანალიზის დეპარტამენტს.
6. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.

7. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

დავით თვალაბეიშვილი

კომისიის წევრი